

Shorena Shamanadze

Natela Chitauri

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Paradigm of 1990s and Transformations of the National Identities in Georgian Intercultural-Migration Literature

Political events of 90s of the 20th century can be seen most apparently in such rapidly changing sociocultural areas as national identity and literature. In the situation of “movement”, beyond the Georgian borders, the writers who have left Georgia, created the literature that, regarding contemporary accents, could be mentioned as Georgian intercultural-migration literature. We discuss paradigm of 90s and transformations of the national identities on the basis of the following pieces of work: Zurab Guruli’s (USA) “Elephant in the Dark” and Gabriel Tanie’s (Czechia) “Children of Canaan”.

Key words: Literature, Migration, Interculturality, Identity, Literature on the Move.

შორენა შამანაძე

ნათელა ჩიტაური

თბილისი, საქართველო

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

1990-იანი წლების პარადიგმა და ნაციონალურ იდენტობათა ტრანსფორმაციები ქართულ ინტერკულტურულ-მიგრაციულ მწერლობაში (ზურაბ გურული (აშშ), გაბრიელ ტანიე (ჩეხეთი))*

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან გარე და შიდამიგრაციებით გამოწვეულმა „მოძრაობის“ ვითარებამ მიმდინარე გლობალიზაციის პროცესს სრულიად განსხვავებული ასპექტები შესძინა.

* კვლევა განხორციელდა “შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [№DI-18-965]“ „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRN-SFG) [№DI-18-965]“.

ცნობილი პოლიტიკური მოვლენები – საბჭოთა კავშირის დაშლა, ტერიტორიული ცვლილებები ევროპასა და აზიაში, ზოგადად ამბივალენტური დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის, 90-იანი წლების მიმართ, ასევე დემოკრატიულობის, ჰუმანური იდეების თანამდევნი ე.წ. „გვერდითი მოვლენები“, ტერიტორიული და რელიგიური კონფლიქტები, კულტურულ და სტრუქტურულ ძალადობათა გაძლიერება, ეთნორელიგიურ მოდელთა დაპირისპირება – შეუმჩნევლად ავრცელებს თავის გავლენებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ და სხვა სივრცეში. „მოდრაობის“ ფენომენი არსად ისე პროდუქტიულად არ აისახება, როგორც სოციალურულ ველში, კულტურაში, კონკრეტულად იდენტობათა ტრანსფორმაციებსა და მწერლობაში.

ინტენსიურმა მიგრაციებმა, ზოგადად „მოდრაობის ვითარებაში, განსაკუთრებით კი 1990-იანი წლების პარადიგმამ, ძირეულად შეცვალა იდენტობები. გარე და შიდა მიგრაციების პროცესებში ადამიანები დღეს იდენტობათა, პიროვნული „მე“-ს, თავისუფლების ძიებაში არიან. რადგანაც სწრაფად ცვალებადმა გარემომ შეუდარებლად გაართულა პიროვნების ადაპტაცია სოციუმთან, ამიტომაც იდენტობათა „ამოდრავების“ კვალდაკვალ სულ უფრო შესამჩნევი ხდება პიროვნების თვითიდენტიფიკაციის სირთულეები – როგორც იდენტობათა ტრანსფორმაციის შედეგი.

ამ პრობლემამ არც საქართველოს აუარა გვერდი და, შესაბამისად, მის მწერლობაშიც აისახა. დღეს ქართული მწერლობის დიდი ნაწილი საზღვრებს გარეთ, შიდა და გარემიგრაციული „მოდრაობის“ ვითარებაში იქმნება, თანამედროვე კვლევების მიხედვით, ამ კონტექსტში შექმნილი მწერლობა, სრულიად სხვა თვისობრიობისაა, მის აღსანიშნავად უკვე რამდენიმე ტერმინი დამკვიდრდა: „ინტერკულტურული ლიტერატურა“ (ჰაიდუ როში), „ტრანსარეალური ლიტერატურა“ (ოტმარ ეტტე), „ახალი Weltliteratur“ (ელკე შტურმ-ტრიგონაკისი) და სხვ. მათ შორისაა ე.წ. „მოდრაობის მწერლობა“ – Literature on the Move – ესაა ველი, რომელმაც დაადასტურა და კიდევ უფრო გამოკვეთა იდენტობისა და მწერლობის „თანამშრომლობის“ ფაქტი. შესამჩნევია ის, რომ „მოდრაობის მწერლობა“ გახდა უფრო სოციალური, რადგან სივრცეში დომინანტად იქცა იდენტობათა დღევანდელი ტრანსფორმაციები სხვადასხვა განშტოებებით (რელიგია, გენდერი. ეროვ-

ნულ-მასობრივი სიმბოლო, მითოლოგია), „მოდრაობის“ თანმხლები სოციალური, ფსიქოლოგიური, იმაგოლოგიური, მეხსიერების, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იდენტობათა, თვითიდენტიფიკაციის სოციალურ-ფსიქოლოგიური დისკურსი.

ქართულ „მოდრაობის მწერლობას“ (თანამედროვე აქცენტ-ბის გათვალისწინებით ვუწოდეთ თანამედროვე ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული), ახასიათებს როგორც ინტერულტურული და ახალი „Weltliteratur“-ის ნიშნები, ასევე ნაციონალური გამოვლინებანი. ამ მწერლობაში იდენტობათა ტრანსფორმაციები, იდენტობათა პიროვნების თვითიდენტიფიკაციის პრობლემები სწორედ 90-იანი წლების სპეციფიკური პარადიგმის კუთხით თანაბრად საინტერესო აღმოჩნდა როგორც საზღვარგარეთ მოღვაწე მწერლებისათვის, ასევე „სამშობლოში (გა)დარჩენილთათვის“, რომლებიც საქართველოს დღევანდელ კულტურულ ჰაბიტუსს ქმნიან, თუმცა მაინც არის განსვავება:

1. ინტერკულტურულ-მიგრაციულ მწერლობაში, უფრო მეტად ვიდრე „ადგილზე“, შექმნილ მწერლობაში, ნიშანდობლივია იდენტობათა ტრანსფორმაციის, თვითიდენტიფიკაციის ნარატივი. უნდა ითქვას, რომ საქართველოში შექმნილი თანამედროვე პრო-ზა ბოლომდე ვერ გაცდა პოსტსაბჭოთა ყოფის ზედაპირულ აღწერას, ნომად მწერალს კი ემიგრაციასთან დაკავშირებული კონტექსტები და განსაკუთრებით იდენტობათა ტრანსფორმაციები საშუალებას აძლევს ადამიანის შინაგანი სამყარო გაიაზროს უფრო სიღრმისეულად, ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიურ რეფლექსიაში. იგი, ერთი მხრივ, ეყრდნობა ძლიერ ნაციონალურ ლიტერატურულ ტრადიციას და, მეორე მხრივ, რეალობის კრიტიკულ რეფლექსიას ახორციელებს ინტერკულტურულ, ემიგრაციული გამოცდილებით გამდიდრებულ კონტექსტში.

2. ინტერკულტურულ-მიგრაციულ მწერლობაში იმაგოლოგიური ასპექტი დამატებით ფსიქოლოგიურ დატვირთვას იძენს, „ხედვის კუთხის“ შეცვლა, ანუ დისტანციიდან, განსხვავებული კულტურიდან და ენიდან ხედვა შესაძლებელს ხდის მრავალმხრივ შედარებას, აძლიერებს რეალური შეფასებების უნარს.

3. ამ საკითხის თემატიზაციას თავად მწერალთა „იდენტობის“ საკითხის დასამადეც მივყავართ: რა „საგზლით“ გაიარეს შფოთი-

ანი 90-იანები და რა „ბარგით“ ჩააღწიეს 21-ე საუკუნეში, ანუ რა „ბალასტი“ მოიშორეს გზად, ერთი მხრივ, ემიგრანტებმა და, მეორე მხრივ, „დამრჩენებმა“?

90-იანი წლების პარადიგმა და იდენტობათა ტრანსფორმაციები ამ მწერლობაში რამდენიმე მიმართულებით ვითარდება:

1. შიდაემიგრაციებით გამოწვეული იდენტობათა პოსტსაბჭოთა ქაოსი – იდენტობათა კრიზისი: საბჭოთა იდენტობის დაძლევა დიდხანს ვერ მოხერხდა და არც თავისუფლება აღმოჩნდა ადვილად მისაღები, ამით გამოწვეული უპერსპექტივო მდგომარეობის განცდა, ნიჰილიზმი.

2. ტრადიციულ და თანამედროვე ფასეულობათა, ნაციონალურ-კულტურულ და ინტერკულტურულ იდენტობათა შედარება, ოპოზიციები, ჰიბრიდიზაცია. სწრაფვა სიახლეთა მიღებისაკენ, სწრაფვა ინტეგრაციისაკენ ნაციონალურის შენარჩუნებით.

3. მიგრაციულ/ეთნიკური კონფლიქტების პროცესებში უცხო სეგნობა ზოგადადამიანურ ფასეულობებათა გააზრების საფუძველზე.

4. იდენტობა კულტურული და კომუნიკაციური, „შენადნობი“ მეხსიერებების კვეთაში.

5. რელიგიური იდენტობის მიგრაციულ/ეთნოკონფლიქტური მოდიფიკაციები.

6. იდენტობათა ტრანსფორმაციები კულტურული ძალადობების (კულტურული ძალადობის მექანიზმები ძლიერდება მიგრაციებში, ეთნოკონფლიქტურ პროცესებში) ამსახველ ტექსტებში.

7. გენდერული იდენტობათა ტრანსფორმაციები. „მომრაობის“ მწერლობის ავტორთა და პერსონაჟთა უმეტესობა ქალია. უმნიშვნელოვანესი თემაა ქალის, როგორც ავტორის და როგორც პერსონაჟის, თვითიდენტიფიკაციის პრობლემები.

თითოეული მიმართულება ყოველდღიურად ვითარდება და კონკრეტული გამოვლინებებით ქმნის ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობის“ მრავალფეროვან, პანორამულ სურათს.

ამჯერად 90-იანი წლების პარადიგმას და ნაციონალურ იდენტობათა ტრანსფორმაციებს განვიხილავთ შემდეგი ნაწარმოებების მიხედვით: ზურაბ გურულის (აშშ) „სპილო წყვდიადში“ და გაბრიელ ტანიეს (ჩეხეთი) „ქანანის შვილები“.

გაბრიელ ტანიე სოსო გაჩავას ლიტერატურული ფსევდონიმია. პროფესიით კინორეჟისორია. წლების განმავლობაში მოღვაწეობდა, როგორც სასულიერო პირი (მამა იოსები), იყო ასევე პედაგოგი (ასწავლიდა ხატვას და თეატრზე მუშაობას). მამა იოსებ გაჩავა ცხოვრობს პრალაში და მსახურობს ჩეხეთის მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიაში.

რომანი დაიწერა 2016 წელს, სხვადასხვა ადგილას: „რომანის წერა სოფელ არგვეთაში დავიწყე. შემდეგ იყო ათათურქის აეროპორტი – მწერლისთვის გენიალური ლაბორატორია. ვწერდი ბარსელონაში, კაფე ბაროკოში“ (ბაკურაძე 2017). რომანი ორიგინალური ფაბულით გამოირჩევა: თხრობის პროცესში ჩართულია პიესა, პირადი დღიურები და წერილები.

რომანის სიუჟეტიდან ჩანს, რომ ავტორი გარკვეული მიზეზების გამო თავად ემიგრანტია, წასულა ჯერ პარიზში, შემდეგ ესპანეთში (ბარსელონა). დღიურები გადმოგვცემს 90-იანი წლების მოვლენებს, ავტორის პოზიციებს. ნაწარმოები 2016 წელს დაიწერა. შესაძლოა ვიფიქროთ: ამ დროს უკვე ადვილი იყო ლაპარაკი, წერა, შეფასებები, მით უმეტეს იმავლოგიურ კონტექსტში, „იქიდან“, მაგრამ ნაწარმოები სწორედ ამ წლებში ამბობებულ, უსამართლობასთან შეჭიდებულ, სამშობლოს მოჭირნახულე ადამიანის სულიერ სამყაროს წარმოაჩენს.

რომანი, ასე ვთქვათ, ორშრიანი ნაწარმოებია. ერთია პირდაპირი, რეალური შრე, რეალური გვარებით, მოვლენებით. რომანში წლები არც არის მითითებული. ეპოქა ავტორისეულ შეფასებებში ჩანს. წიგნი იწყება რუსული სასულიერო პირების და ასევე იმ ქართველი სასულიერო პირების კრიტიკით, რომლებიც მხარს უჭერენ მათ. “მათ უფრო მეტად ავნეს საქართველოს, ვიდრე შაჰ-აბასმა ... მეშინოდა ... ორჯერ დავწვი ხელნაწერი ...” (ტანიე 2018).

„იმ შენობიდან, სადაც ჩვენი უმაღლესი სასულიერო პირები ქვეყნის ბედნიერ მომავალზე ბჭობენ, როგორც მოსალოდნელი იყო, მოღალატის სახელით გამოვედი“ (ტანიე 2017: 12). „კეთროვანივით მიყურებენ ... ჩემს დანახვაზე ერთმანეთს გადახედავენ და ირონიულად იღიმებიან“ (ტანიე 2017: 13). „გულგრილობა და დაყენებული სახეები. ვითომ ვედრებით ზემოთ აპყრობილი თვალები, რომლებიც ასეთივე ვედრებით შეჰყურებენ რუს უმაღლეს სასულიერო პირებს. ყოველივე ამის მომსწრე თავად

ვარ“ (ტანიე 2017: 18). ნაწარმოებში ასახულია საბჭოთა (80-იანი წლები), პოსტსაბჭოთა პერიოდის ბევრი საინტერესო კონტექსტი, იდენტობათა კვება, რუსული წნეხის სოციალ-ფსიქოლოგიური ზემოქმედება, ეთნიკური კონფლიქტების შედეგები. „ყველაზე გულდასაწყვეტი ის არის, რომ ყოველ ამგვარ შეკრებაზე ჩვენი უმაღლესი იერარქები უკვე დაუფარავი ფარისევლობით ემხრობიან კირილს... შვეიცარიის შეკრებაზე გამოჩნდა, რომ ქართულმა დელეგაციამ ფაქტობრივად ხელები დაიბანა, რადგან აფხაზეთის შესახებ, რომლის ტერიტორია უკვე დიდი ხანია მიტაცებული აქვთ რუსებს და იქაურ ქართულ ტაძრებში ქართული გალობაც კი აკრძალულია, იმ შეკრებაზე კრინტიც არ დაუძრავთ, სამაგიეროდ კუდში დასდევდნენ და ყველაფერზე თავს უქნევდნენ პატრიარქ კირილს“ (ტანიე 2017: 19). „სწორედ მაშინ, ამ მეორე ომის (ჩეჩნეთის მეორე ომი. 1999წ. ნ.ჩ./შ.შ.) დროს გამათავისუფლეს ტელევიზიიდან, სადაც იმ პერიოდში რეჟისორად ვნუშაობდი“ (ტანიე 2017: 35).

რომანის მეორე შრე – რეალური მოვლენების მხატვრული ინტერპრეტაციაა. ვგულისხმობთ შემდეგს: რომანის ძირითადი თემატიკა – ძალადობა, ომი, ლტოლვილობა, ემიგრაცია, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების პრობლემები, განსაკუთრებით რელიგიური კონფლიქტები, სტრუქტურული, კულტურული ძალადობები, გენდერული პრობლემები, ეროვნული გმირების როლი, ერების თავისუფლების საკითხი და მშვიდობის მუდმივი ძიება – ვითარდება მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში, პერსონაჟები სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისანი არიან: როჰინგები, ინდუსები, პაკისტანელები. ბირმელები, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ეს მწერლის ხერხია: ქართული რეალობის ინტერპრეტაცია სხვა სოციუმის საშუალებით მოახდინოს. შესაძლოა, თხრობა ადრეული წლებსაც მოიცავს, მაგრამ ამბები, რომლებიც ცალკეული სიუჟეტის სახით ჩართულია რომანში, მე-20 საუკუნის დასასრულისა და 21-ე საუკუნის ქართული რეალობის ეთნოკონფლიქტებს, იდენტობათა ტრანსფორმაციებს ასახავს. ამჯერად სტატიის ფორმატი ვრცელი ანალიზის საშუალებას არ გვაძლევს, მაგრამ ერთი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაწარმოებში წარმოჩენილია იდენტობათა (რელიგიური, გენდერული, ფსიქოსოციალური) პარადიგმები

ნაციონალური და ინტერკულტურული სიბრტყეებით, რომანი სწვდება იდენტობათა სოციალურ, ფსიქოლოგიურ შრეებს, წარმოაჩენს ზოგადად ეთნო და რელიგიური კონფლიქტების პროცესების დისკურსს.

მწერალი სხვადასხვა ეროვნების (როჰინგების, ბირმელების, არაკანელების, ბენგალელების, ინდუსების, პაკისტანელების), რელიგიის (მუსულმანები, ბუდისტები, ქრისტიანები) იდენტობიდან ჰვრეტს და აფასებს მოვლენებს. რომანში წარმოდგენილია მუსულმანი უმცირესობის – როჰინგების (წიგნის მიხედვით, „როჰინგები ბირმაში, დასავლეთით, არაკანის შტატში ცხოვრობენ და ამ ქვეყნის მუსულმანურ უმცირესობას წარმოადგენენ“ (ტანიე 2017: 66) – ბრძოლა ბირმის ადგილობრივ ხელისუფლებასთან. სწორედ ამ მიზნით ხდებიან ისინი ემიგრანტები და მიდიან ბანგლადეშის ქალაქ ჩიტაკონგში. იქ ისინი ებრძვიან არა ევროპელ ან ამერიკელი კოლონიზატორებს, არამედ ადგილობრივ ხელისუფლებას, ბირმის დიქტატორულ რეჟიმს. ცდილობენ გაარღვიონ ჩაკეტილი წრე, ეზიარონ იმ ევროპულ თუ ამერიკულ პროგრესულ იდეებს, რომლებიც გამოადგებათ თანამედროვე სამყაროსთან ურთიერთობაში. ამავე დროს არ კარგავენ ტრადიციებს, იმ ფასეულობებს, რომლებიც მათ ეხმარება შეცვლილ გარემოში ადაპტაციისათვის.

რელიგიური იდენტობა და თანამედროვეობა – ამ თემატიკის გასააზრებლად ბევრი ეპიზოდი. სწორედ ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია იმ უარყოფითი მენტალობების წარმოჩენა, რომლებსაც თავად მუსულმანები ამჩნევენ თავიანთ თანამომხმეებში. ხშირად ადამიანის რელიგიური იდენტობა უარყოფითი კონტექსტით სწორედ ემიგრაციაში ტრანსფორმირდება (მოლა აუშიმი, შაფი ულა). ბანგლადეშის ქალაქ ჩიტაკონგში თავი მოიყარეს სხვადასხვა რელიგიის, სხვადასხვა აღმსარებლობის, სხვადასხვა ტრაგიკული ბედის ემიგრანტებმა. მხოლოდ აქ, უცხო ადგილას, ადამიანები გაიმიჯნენ არა რელიგიის მიხედვით, არამედ სიკეთისა და ბოროტების, ზნეობისა და უზნეობის მიხედვით. ერთი მხრივ: ნორულ ისლამი, ისმაელი, ნოე, ჯუმა, ატიუ, სალეჰი, ნურია. მეორე მხრივ: მოლა აუშიმი, შაფი ულა..“ (ტანიე 2017: 421). მოლა აუშიმის, შაფი ულას პერსონაჟებმა სწორედ უცხო ქვეყანაში გამოიყენეს თავიანთი რელიგიური მრწამსი უზნეობისა და

თანამომხმე მუსულმანთა ჩავგრისათვის. სალეჰი მიმართავს მოლას: „შენთვის ალაჰი და მუჰამედი მხოლოდ ის ინსტრუმენტებია, რისი საშუალებითაც ცდილობ, დაიმონო და დააჩლუნგო ადამიანები, რომ მერე ადვილად მართო ... ალაჰს არ სჭირდება ეგეთი დაცვა“ (ტანიე 2017: 395).

რომანში სრულიად სხვა კუთხით წარმოჩინდება სტრუქტურული, კულტურული ძალადობების ფაქტები, რომელთა აღწერა მწერალს 90-იანი წლების პარადიგმის წარმოსაჩენად სჭირდება. ისინი ძირითადად გენდერულ იდენტობებს უკავშირდება. კულტურული ძალადობის ამგვარი დისკურსი ქართულ „ადგილზე შექმნილ მწერლობაში“ არ გვხვდება. ვფიქრობთ, კულტურული ძალადობის მუსულმანური კონტექსტები მწერლისათვის ფონია ზოგადად გენდერული პრობლემების გასააზრებლად. რომანში ამგვარი ეპიზოდი ბევრია: ერთ სოფელში, სადაც ბირმის კანონებით როჰინჯებს განათლების მიღება კანონით ეკრძალებოდათ, პერსონაჟმა – ქვრივმა ქალმა, ფატიმამ თვითნებურად გახსნა სკოლა, ქრისტიანების, როგორც რელიგიური უმცირესობის, დევნა პაკისტანში, ორი ქალის – ანვარასა და ბარგეტა ემას – მცდელობა განათლებისათვის. მათ მიერ ქრისტიანი და არა მარტო ქრისტიანი ბავშვებისათვის გახსნილი სკოლა, მოხუცთა თავშესაფარი „ტალითა კუმი“, მათ მიერ განხორციელებული სიციალური და სასწავლო პროექტები (ტანიე 2017: 236). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელთა პოზიცია კულტურული ძალადობის შემთხვევაში და გენდერული იდენტობა (ტანიე 2017: 250), დედამ ანვარამ შვილის გადასარჩენად საჯაროდ უარყო ქრისტიანობა, რასაც მთელი შეგნებით ემსახურებოდა. იმ ქრისტიანებმა, რომელთა განათლებასა და ყოველდღიურ პრობლემებზე ანვარა ასე ზრუნავდა, ვერ გაუგეს და ზურგი აქციეს მას (ტანიე 2017: 256-258). ეს აქცენტები წარმოაჩენს პერსონაჟთა იდენტობის ტრანსფორმაციებს რელიგიური კონფლიქტის დროს.

მთავარია ავტორის პოზიცია: ქალის, დედის განსაკუთრებული როლი ახალგაზრდობის, შვილების განათლებისათვის. ავტორი ფსიქოლოგიური ნიუანსებით წარმოაჩენს ზოგადად ქალის გონების „მომრაობას“, მისი იდენტობის პარადიგმებს მიგრაციულ, ეთნოკონფლიქტურ პროცესებში. ქართული რეალობაც ხომ ადას-

ტურებს: სწორედ 90-იან წლებში გამოვლინდა ქალის სიძლიერე, უნარი მორგებოდა, უმეტესად ღირსეულად, შეცვლილ რეალობას, საკუთარ გამძლეობაზე, თანაც უმეტესად ემიგრაციაში, აელო ოჯახის რჩენა თუ გადარჩენა.

მენტალობათა ტრანსფორმაციები ფსიქოლოგიურად სიღრმისეულია: ეს იქნება დიქტატორის მონოლოგი, რომელიც დელფინების სისხლით სავსე აუზზე სიცოცხლის გასახანგრძლივებლად ნებივრობს თუ საოცრად დაჩაგრული ბიჭის ჯუმას ცხოვრება. მისი მოგზაურობა გემით „KOMANDANTE“ და შეხვედრები სხვადასხვა კულტურებთან, მენტალობებთან; პოლონელი კათოლიკე პადრე ეჟე მალინოვსკის შიში ყოველივე განსხვავებულისადმი, განსაკუთრებით ინდოელი ჯუმასადმი, მისი სიყვარული მასზე ბევრად უმცროსი საკუთარი ბიძაშვილ ჰანა პადოვსკასადმი, მის მიერ კათოლიკე გოგოსა და „გაურკვეველი რელიგიის“ ინდოელი ბიჭის სიყვარულის დაგმობა (ტანიე 2017:337), წმინდანად აღიარებული კათოლე პადრეს მიერ შურისძიების მოტივით უდანაშაულო გოგონას მოკვლა... მწერალი ასახავს იდენტობათა ტრანსფორმაციებს გარე და შიდაემიგრაციის პროცესებში.

რომანის პერსონაჟები ძირითადად ეთნიკური, რელიგიური, კულტურული ძალადობების მსხვერლნი არიან, თუმცა ნაწარმოები არ გვთვრუნავს, ეს არის ოპტიმისტური რომანი და ერთ ხაზს მიჰყვება: გასვლა ჩაკეტილი ეთნიკური რელიგიური მენტალობებიდან გაშლილ, ინტერკულტურულ სივრცეში. დაჩაგრული ეთნო, რელიგიურ კონფლიქტებს, კულტურულ ძალადობებს გამორიდებული ადამიანები ერთმანეთს პოულობენ და ერთმანეთის იდენტობას ეცნობიან. იქ, ემიგრაციაში, სხვა მიწაზე ცდილობენ მიიღონ განათლება, შეიგნონ სამყარო. უზიარონ ხელოვნებას. ავტორი ემიგრაციას არ აღიქვამს ტრაგედიად. პირიქით, ემიგრაცია – ესაა ჩაკეტილი წრის გარღვევა, ხოლო იდენტობათა ტრანსფორმაციები – ახალი ცოდნის მიღება. „აქ გადარჩენისათვის, სიცოცხლისათვის, თქვენი შვილების განათლებისა და სიყვარულისათვის ჩამოგიყვანეთ“ (ტანიე 2017: 404). „ქანანის შვილები“ – ასე ჰქვია სპექტაკლს, რომელსაც დგამენ სხვადასხვა აღმსარებლობის, მსხვადასხვა ეროვნების ადამიანები, სპექტაკლის სიუჟეტსა და თემატიკაში ვირტუოზულადაა ჩართული ძველი აღთქმის სიუჟეტები, მძაფრი ისტორიული,

ფსიქოლოგიური კონტექსტები. მოგზაური ავტორი კი თავისი ემიგრაციული და ინტერკულტურული გამოცდილებით ახალი ფერებით და სურნელით ამდიდრებს ქართულ ლიტერატურას „ქართულ ლიტერატურას აშკარად განსხვავებული ხმა შემოემატა – კოსმოპოლიტი (ამ სიტყვის ვაჟასეული გაგებით), მოსიყვარულე; სულიერების, მხატვრობისა და განმანათლებლობის ერთად დამტევი, რომლის სადებიუტო წიგნი ერთდროულად ჩამთრევიცაა, ინფორმაციულიც და ძალზე ემოციურიც. თითქოს ფოიერვერკი გადმოიფრქვა ტანიეს ნაწერიდან“ (კუდავა 2018).

ორი – რეალური და გამოგონილი, ინტერპრერირებული შრე – სრულიად დამოუკიდებელი ამბავი ნოველების სახით ბოლოს ერთ განზოგადებულ სათქმელში ერთდება: პრობლემები ყველა ეროვნების და რელიგიის ადამიანს საერთო აქვს, ხოლო ეთნიკური იდენტობანი საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა ზოგადადამიანური ფასეულობების შეცნობით. ჩვენი ეთნიკური იდენტობა ერთ დიდ შენაკადად ერთვის სამყაროს, ფაქტია: ჩვენს ეროვნულ სატკივარზე სხვა ქვეყნის პერსონაჟებსაც შეუძლიათ ლაპარაკი ყოველივე ამის გააზრება კი ყველაზე კარგად სწორედ ეთნოკონფლიქტებისა და ემიგრაციის დროსაა შესაძლებელი.

ზურაბ გურული. ამერიკაში მოღვაწე ქართველი ექიმი. მისი-სიპის შტატის დედაქალაქ ჯექსონის მონტგომერის სახელობის ფედერალური კლინიკის ანესთეზიოლოგია-რეანიმაციისა და ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და მისისიპის უნივერსიტეტის ანესთეზიოლოგიის კათედრის პროფესორია. შთამბეჭდავი აღმოჩნდა მისი დებიუტი ლიტერატურაშიც – 2018-2019 წლებში „არტანუჯმა“ გამოსცა მისი რომანი „სპილო წყვდიადში“ და ედგარ ალან პოს ლექსების თარგმანები.

ავტორი გამოექცა რეალობას, რომელიც მისთვის უკვე მიუღებელი იყო. 90-იან წლებში ის გაჰყვა ემიგრაციის ტალღას და ამერიკაში დამკვიდრდა. „საქართველოდან წავედი მორალურად და სულიერად სრულიად დათრგუნვილი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩემი ხელფასი რამდენიმე ათასი კუპონი იყო, შემდეგ კი 6 ლარი....არადა ეს ყველაფერი ხდებოდა მას შემდეგ, რაც... მაქსიმალური წარმატებით გავიარე ყველა ის ლოგიკური საფეხური, რაც ჩემი დარგის ახალგაზრდა საბჭოთა პროფესიონალს

უნდა გაველო. ასე რომ, საკუთარ თავსაც ვერ დავადანაშაულებდი, რომ ვიზარმაცე. ... დავკარგე საკუთარი თავის რწმენა. მახსოვს, ამერიკაში პირველი ხელფასი რომ ავიღე, მაშინ მივხვდი, უკვე როგორ შეიცვალა ჩემი მსოფლმხედველობა. უპირველესად ... საკუთარი შესაძლებლობების რწმენა დამიბრუნდა. ამან მომცა თავისუფლების, დამოუკიდებლობის საოცარი განცდა. დღევანდელ ქართულ საზოგადოებას თუ დავაკვირდებით, მოსახლეობის 90 პროცენტს არ შეუძლია საკუთარი შემოსავლით კუთვნილი, დამსახურებული ცხოვრება. ესეც არის მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ შევდექით სახელმწიფოდ“ (ჯავახიშვილი 2019).

რომანში უპირველესად იმაგოლოგიური კონტექსტი იკვეთება, რომელიც თხრობისას გახსენებების სახითაა ჩართული. მწერლისათვის 90-იანი წლების პარადიგმა – ეს არის საყოველთაო ქაოსი, პოსტსაბჭოთა დაბნეულობა, იდენტობათა ოპოზიციები (როგორც თქვა, საბჭოთა იდენტობის დაძლევა დიდხანს ვერ მოხერხდა და არც თავისუფლება აღმოჩნდა ადვილად მისაღები), გახსენებები მხოლოდ უარყოფით, ნეგატიურ კონტექსტებს უკავშირდება: ზღვაში დამხვრეველი ძმა, თბილისელი ექიმი ლექსო – ერთდროულად საუკეთესო ექიმი, ინგლისურის არაჩვეულებრივი მცოდნე და ... ნარკომანი. 1992 წლის თებერვლის სუსხიანი დილას „გაქუცულ სამხედრო ფორმაში ჩაცმული ახმახი გვარდიელი... გამხდარ გაუპარსავ სახეზე ჩაცვენილი თვალები ბოროტად უელავდა... საბჭოთა ჯარისკაცის ბალთიანი ქამარი ეკეთა...“ გვარდიელი სრულიად უმიზეზოდ ურტყამს ლუდის გამყიდველ პატარა ბიჭს. „გავეშებული გვარდიელი რეზინის ჩექმიანი ფეხით შეუდგა წაქცეულის ცემას“ (გურული 2017: 96).

„1992 წლის 3 იანვარი იყო. ორი კვირა ხდებოდა, რაც თბილისლები ერთმანეთს ტყვიას უშენდნენ, მიტინგობდნენ, მოკეთებებში ქეიფობდნენ, „პახმელიაზე“ გამოდიოდნენ და განსმდგომი შუაკაცის ზომბირებული დაჟინებით დადიოდნენ სამსახურებში“ (გურული 2017: 145).

რომანი, ვფიქრობთ, საზღვარგარეთ შექმნილი სხვა ნაწარმოებებისაგან განსხვავებულია სწორედ 90-იანი წლების პარადიგმის ფონზე იდენტობათა ტრანსფორმაციების წარმოჩენით. ნაწარმოებში ფსიქოსოციალური იდენტობა აქ ვითარდება „უცხო“-სთან შეგუების ზოგადი მახასიათებლების (პროტესტი „უცხოს“

წინააღმდეგ, რესენტიმენტი, კულტურული შოკი, ტრავმა, გაუცხოება, ნოსტალგია) გარეშე. პირიქით, მეტია ადაპტაციის მომენტები. ტრადიციულ და თანამედროვე ფასეულობათა, ნაციონალურ-კულტურულ და ინტერკულტურულ იდენტობათა ოპოზიციებში ხდება ჰიბრიდიზაცია. ნიშანდობლივია სწრაფვა სიახლეთა მიღებისაკენ, აქ უცხო შეიცნობა ზოგადადამიანური ფასეულობების გააზრების საფუძველზე.

იდენტობათა განსხვავებანი ხელს არ უშლის ადამიანებს ერთმანეთს გაუგონ. ნიუ-ორლეანის ქუჩებში სიარული პერსონაჟისათვის საკუთარი და უცხო იდენტობის დაკვირვების პროცესია. „უცებ მოხუცებული წყვილი შევნიშნე. სიმპათიური, სიფრიფანა ქალბატონი დიდი გულმოდგინებით მიაგორებდა ინვალიდის ეტლში მოკალათებულ მეუღლეს“. ქართველი პერსონაჟი ეხმარება. „ვიდრე პირის გაღებას მოვასწრებდი, 10-დოლარიანი ჩამიკუჭა ხელში, დავიბენი..მერე გამეცინა და ავტობუსში მოკალათებულ მოხუცებს ჰაეროვანი კონცა გავუგზავნე“ (გურული 2017: 80).

ერთი მხრივ, ქართველი პერსონაჟი (თბილისიდან ამერიკაში ერთი ამერიკელი პროფესორის რეკონენდაციით წავიდა, ოპერაციებზე მხოლოდ დასწრება შეუძლია) ინტეგრირდება „უცხოს“ რეალურ სივრცეში, თუნდაც, როგორც ექიმი. საავადმყოფოში ის უახლოვდება სულ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს.. აქ მისთვის მისაღებია მათი კეთილშობილებაც (მისი მეგობრები გერმანელი ვოლფგანგ ბერგმანი, არგენტინელი კონსტანტინო, ინდოელი ჰარმინდერ განდჰოკი), ასევე ჩვეულებრივი პროფესიული შურიანობაც (ჩინელი დოქტორი მაიკლ ჰაშიმოტო ლი, რომელმაც ქართველ ექიმს უკვე გამოყენებული შპრიცი სპეციალურად უჩხვლიტა). ასევე ქართველი ექიმი აცნობიერებს საავადმყოფოს ხელმძღვანელობის (დოქტორი ბუდროუ, დოქტორი პიტერ ჰასტინგსი) პრაგმატულ და ამავე დროს კეთილშობილურ პოზიციებს (სახლში დარეკვისათვის სპეციალური კოდის მიცემა, შეგონება Are you man? (გურული 2017: 114).

მეორე მხრივ, ქართველი პერსონაჟისათვის ახლობელი ხდება უცხო ხალხის რელიგიური, წარმოსახვითი სამყაროც. ეს ეპიზოდები ძალიან საინტერესოა: ნიუ-ორლეანის მოჩვენებები „ბიანკა, ნიუ-ორლეანის ვუდუს დედოფალი, მარი ლავუს პირდაპირი შთამომავალი და მის გრძნეულებათა მემკვიდრე“ (გურული 2017:

90), მოჩვენებები და გრძნეულებათა სერია ჭაობებში ნადირობისას. თითქოს ეს კონტექსტები – რელიგიური რიტუალები, თანაც ეგზოტიკური, – უცხოა 21-ე საუკუნის ამერიკელისათვის, მაგრამ მწერალი ამ ვირტუალურ რეალობას იდენტობათა ინტეგრაციის უფრო უკეთ აღსაქმელად წარმოაჩენს. ეს მწერლის ხერხია, უფრო უკეთ გვითხრას სათქმელი: დღეს ინტეგრაცია, თუნდაც რელიგიური, ტრაგიკულობის გარეშე მიმდინარეობს, ეს უკვე აღარ არის მტკივნეული პროცესი, თუკი სიღრმისეულად გაეცნობი „უცხოს“. „ჩვენ ვამბობთ, რომ რელიგიურები ვართ, მაგრამ სინამდვილეში ჭეშმარიტად რელიგიური სწორედ ამერიკაა. ამერიკაზე ჩვენი წარმოდგენა ძირითადად იქმნება დიდი მეგაპოლისებით. ეს კი ნამდვილი ამერიკა არ არის, ერთგვარი ნეიტრალური ტერიტორიაა. ჭეშმარიტი ამერიკა პროვინციებშია და ეს ამერიკა არის ძალიან მორწმუნე. ყოველ შაბათ-კვირას ტარდება წირვა და იგეგმება ახალი საქველმოქმედო აქციები... ამ პრინციპით აღზრდილი ამერიკელები მზად არიან უანგაროდ დაეხმარონ ყოველ ახალ მოქალაქეს, რათა ის სოციალურ სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბდეს“ (ჯავახიშვილი 2019).

ამ შემთხვევაში მწერალის სათქმელი შემდეგია: სწრაფვა ინტეგრაციისაკენ ეთნიკურის, ნაციონალური იდენტობის შენარჩუნებით. ნაციონალური იდენტობა პერსონაჟს მუდმივად ახსენებს თავს... „ფიქრებით ახლა სახლში ვიყავი, ჩემს საყვარელ ადამიანებთან, ადგილის დედის თანამდევნი ძალა ვიგრძენი, დაცულად და უშიშრად მიმაჩნდა თავი“ (გურული 2017: 85). „მამო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა ... –დავიწყე უცებ ხმამაღლა ქართულად ... ყოველ სიტყვას გამოთქმით, მთელი გრძნობით ვამბობდი. ტაატით მოვიდა სიმშვიდე, ცნობიერი უბანი ჩართო ტვინმა. ნელ-ნელა აიღო კონტროლი თავზე“ (გურული 2017: 92).

ადამიანებს ბევრი აქვთ საერთო, თუმცა ყველა ადამიანი თავისებური ინდივიდია. ჩვენი აზრით, ამასვე ემსახურება სათაურის შინაარსიც – „სპილო წყვდიადში“. სათაური ნაწარმოებშივეა ახსნილი ძველი ინდური იგავით. ესაა იგავი ბრმებისა და სპილოს შესახებ. ბრმებმა ხელით მოსინჯეს სპილოს ხორთუმი, ეშვები, ყურები, ფეხები. ყველამ თავისებურად აღიქვა „მათ სამყარო აღიქვეს ისე, როგორც შეიგრძნეს და იმ ცოდნით, რაც მათ ჰქონდათ“ (გურული 2017: 303. „ამდენი რელიგიაა მსოფლიოში და

ყველას თავისი სამოთხე აქვს...ყველა თავის შექმნილ სამყაროში დარჩება მარადიულად. ამიტომაც უნდა ვიცხოვროთ ლაღად და ბედნიერად ყოველი წუთი ... რასაც აქედან წავიღებთ საგზლად, იმით ვიცხოვრებთ სამარადისოდ“ (გურული 2017: 360).

დასკვნის სახით ვიტყვით: 90-იანი წლების პარადიგმა ისევე აქტუალური აღმოჩნდა ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობისათვის, როგორც „ადგილზე შექმნილისათვის“, თუმცა „მოდრაობის“ მწელობაში 90-იანი წლების პარადიგმის მხატვრული რეპრეზენტაცია მოიცავს არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა ქაოსსა და ტრავმებს, არამედ ასახავს „უცხო“-სთან შეგუების თანამედროვე ტენდენციებს იდენტობათა ტრანსფორმაციის ფონზე.

დამოწმებანი:

ბაკურაძე ... 2017: ბაკურაძე, მ., მგალობლიშვილი, გ. „ინტერვიუ გაბრიელ ტანიესთან“. გაზ. „ახალი თაობა“, 6 ნოემბერი. <https://bit.ly/2r6Mdim>

გურული 2017: გურული, ზ. *სპილო წყვდიადში*. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2017.

ეტე 2016: Ette, O. “Writing-between-Worlds. TransArea Studies and the Literatures-without-a-fixed-Abode”. Translated by Vera M. Kutzinsky. (Berlin – Boston: Walter de Gruyter 2016).

კუდავა 2018: კუდავა, მ. *თვითმფრინავში საკითხავი*. maststavlebeli.ge <https://bit.ly/35tgs27>

როში 1992: Rösch, H. *Migrationsliteratur im interkulturellem Kontext*. Verlag für Interkulturelle Kommunikation, 1992.

ტანიე 2017: ტანიე, გ. *ქანანის შვილები*. თბილისი: გამომცემლობა გამომც. „ინტელექტი“, 2017.

ტანიე 2018: ტანიე, გ. *სატელევიზიო ინტერვიუ ნანუკას შოლში* <https://bit.ly/32ZYRNn>

შტურმ-ტრიგონაკისი 2006: Sturm-Trigonakis, E. *Global playing in der Literatur: Ein Versuch über die Neue Weltliteratur*. Monographie. Würzburg: Königshausen & Neumann 2007.

ჯავახიშვილი 2019: ჯავახიშვილი, ა. *ინტერვიუ ზურაბ გურულთან*. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯის“ ბლოგი <https://bit.ly/2CU42Uu>